თხევადი საწვავის დღიური რეალიზაცია იგეგმება 2 ტონის ოდენობით, ანუ წლიურად 730 ტონის ოდენობით. თხევადი გაზი ასევე შემოტანილი იქნება სპეციალური ავტოცისტერნების საშუალებით, გადაიტანება 15 მ³ მოცულობის მიწისზედა რეზერვუარში და შემდგომ მოხდება ავტომობილების გამართვა თხევადი გაზით, ასევე შესაძლებელია მისი გაცემა ბალონებში საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის მოსახლეობაზე.

ტერიტორიაზე გათვალისწინებულია მეხამრიდის განთავსება, რომელიც დაფარავს საოპერატორო შენობას და ფარდულს თავისი მოქმედების არეალით. აღსანიშნავია, რომ საწვავის მიღებისას უნდა მოხდეს ავტოცისტერნის დაერთება დამიწების ჭანჭიკზე და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს საწვავის მიღების პროცესი. პროექტის მიხედვით დამიწებული უნდა იყოს ფარდული, სარეზერვუარო პარკი და საოპერატორო შენობაში განთავსებული ცენტრალური მართვის კარადა.

ტერიტორიაზე უკვე გაყვანილია წყალმომარაგებისა და კანალიზაციის შიდა სისტემა, რომელიც მიერთებულია ქ. თბილისის საკანალიზაციო სისტემაზე.
წყლის მომარაგება განხორციელდება ქ. თბილისის წყალმომარაგების სისტემიდან, ხოლო შიდა საკანალიზაციო ქსელი ასევე მიერთებული იქნება ქ, თბილისის საკანალიზაციო სისტემაზე.

აღნიშნული სადგური აღჭურვილია ცეცხლმაქრებით, ნაგვის ურნები დასტიკეტებული სხვადასხვა ნარჩენებისთვის ინდივიდუალურად, განთავსდება სახანძრო ინვენტარი და სხვა დღევანდელი კანონმდებლობით მოთხოვნილი სავალდებულო საშუალებები.

2.2. მოთხოვნები ბუნებრივ და ენერგეტიკულ რესურსებზე, ნედლეულზე და დამხმარე მასალებზე.

ბუნებრივი რესურსებიდან საწარმო იყენებს:

-წყალს საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის. სრულ საპროექტო სიმძლავრეზე მუშაობისას დღე-ღამეში საშუალოდ 1.00 მ^3-ის ოდენობით.

სხვა ბუნებრივ რესურსებს საწარმო არ იყენებს

დაგეგმილი საქმიანობის უზრუნველყოფა სანედლეულე რესურსებით, ელექტროენერგიით, წყალსადენით, კავშირგაბმულობის საშუალებით – ხორციელდება არსებული სამომხმარებლო ქსელებიდან, საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული სქემის გათვალისწინებით.

3. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები

ცხრილ-3.1-ში მოცემულია საწარმოში წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების კოდი, ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების მნიშვნელობები, გაფრქვევის სიმძლავრეები და საშიშროების კლასი.

ცხრილი 3.1.

მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები

№	მავნე ნივთიერების დასახელება	კოდი	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია(ზდკ) მგ/მ^3		საშიშროების კლასი
			მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღეღამური	
1	2	3	4	5	8
1	მეთანი	336	50	-	4
2.	ეთილმერკაპტანი	057	0.00003	-	1
3.	ბუთანი	89	200	-	4
4.	პროპანი	489	50.0	-	-
5.	ბენზინის ორთქლი	311	5	-	4
6.	დიზელის საწვავის ორთქლი	314	1		4

საწარმო ვალდებულია ისე მოაწყოს თავისი საქმიანობა, რომ თავისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ დაცული იქნას ცხრილ-3.1-ში მოყვანილი მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაციები, რისთვისაც საჭიროა ტექნოლოგიური რეჟიმის ზუსტი დაცვა.

საწარმოო ობიექტის მიერ გარემოში გამოყოფილ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში საშუალებას იძლევა მოყვანილ იქნეს საწარმოო ობიექტის ემისიის წყაროები და მათი ტერიტორიული განაწილება. აღნიშნული მახასიათებლების ჩამონათვალი ქვემოთაა მოცემული, ხოლო ტერიტორიული განაწილება საწარმოს გენ-გეგმაზეა დატანებული.

აღნიშნული მახასიათებლების – საწარმოს პრინციპული ფუნქციონირების მონაცემების ანალიზის საფუძველზე დადგენილი – გარემოს უმთავრესი დამაბინძურებელი წყაროებია:

- რეზერვუარებიდან, ნავთობპროდუქტების მიღებისა და შენახვის დროს;
- ავტომანქანების ბაკებიდან, მათში ნავთობპროდუქტების ჩასხმის დროს;
- ბუნებრივი აირს საკომპრესორო სადგურები;
- ბუნებრივი აირით გასამართი სვეტები;
- გათხევადებული აირის მიმღები რეზერვუარი;
- გათხევადებული აირის სვეტი;

4. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში

საწარმოდან გამოფრქვეული, ატმოსფერული ჰაერის ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებებია: მეთანი, ეთილმერკაპტანი, ბუთანი, პროპანი და ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები. ანგარიში შესრულებულია საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებისათვის საანგარიშო მეთოდების და საწარმოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით.

<u>გაფრქვევები თხევადი საწვავით გამართვისას</u>

ნახშირწყალბადების გაფრქვევების დადგენა ავტოგასამართი სადგურისთვის დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან, რადგან ავტოსაწვავის მიღების, შენახვის და გაცემის ამ პროცესს თან ახლავს ავტოსაწვავის ბუნებრივი და ტექნოლოგიური დანაკარგები, რომელთა მნიშვნელობა სხვადასხვა კლიმატური ზონისთვის სხვადასხვაა. თბილი კლიმატის პირობებში დანაკარგები მაქსიმალურია. გარდა ამისა, ავტოსაწვავის ბუნებრივი დანაკარგები დამოკიდებულია ნავთობპროდუქტების კლასზე, მისი დუღილის ტემპერატურაზე და მრავალ სხვა ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ფაქტორებზე. რაც დეტალურადაა განხილული სხვადასხვა ნორმატიული სახის ლიტერატურაში.

თხევადი საწვავის ორთქლის მაქსიმალური გაფრქვევა M (გ/წმ) გამოითვლება ფორმულით:

$$M = \left(C_{ო}^{max} \times V_{ჩ}\right)/1200 \qquad (4.1)$$

სადაც,

$C_{ო}^{max}$ - რეზერვუარში ნავთობპროდუქტების ორთქლის მაქსიმალური კონცენტრაციაა და ს შესაბამისად უდრის: ბენზინის მიწისქვეშა რეზერვუარისათვის 480 გ/მ^3; დიზელის მიწისქვეშა რეზერვუარისათვის 1.55 გ/მ^3; ავტომობილების საცავებისათვის ბენზინის ჩასხმისას 580 გ/მ^3, ავტომობილების საცავებისათვის დიზელის საწვავის ჩასხმისას 1.86 გ/მ^3.

$V_{ჩ}$ - ავტოგასამართ სადგურში ერთი ჩამოსხმისას რეზრვუარებში ჩასხმული ბენზინის მოცულობაა (მ^3);

1200 - არის ჩამოსხმის საშუალო დრო, წმ.

ა. გაფრქვევები მიწისქვეშა რეზერვუარებში ნავთობპროდუქტების (ბენზინის) ჩასხმისას (გაფრქვევის გ-1, გ-2 წყარო).

მარტივი გათვლებით მიიღება, რომ ბენზინის ორთქლის მაქსიმალური გაფრქვევა მიწისქვეშა რეზერვუარებში ჩასხმისას უდრის:

M=480x4.0/1200=1,6 გ/წმ

საწარმო დღეში გეგმავს დაახლოებით 4 მ³ ავტობენზინის რეალიზაციას, რაც წელიწადში დაახლოებიშ შეადგენს 1460 მ³/წელ.

ცალკეული ობიექტებიდან ავტოგასამართი სადგურიდან გაფრქვევები G (ტ/წლ) იქნება:

$G_ო$=480x1460x10^{-6}=0.701 ტ/წლ.

ხოლო ბენზინის მიწისქვეშა რეზერვუარებიდან აორთქლებული მასა იანგარიშება იმის გათვალისწინებით, რომ 100 მ³ მოცულობაზე ნაკლები ერთი რეზერვუარიდან წლიურად გაფრქვეული მასა ტოლია 0.066 ტონის. მაშასადამე ტოლი იქნება:

G=0.066 ტ/წელ.

ხოლო გაფრქვევის ინტენსივობები შენახვისას ერთი რეზერვუარიდან ტოლი იქნება:

M=0.066x10^6/3600x8760=0.00209 გ/წმ.

ბ. გაფრქვევები ბენზინით ავტომანქანების გამართვის დროს (გაფრქვევის გ-5 წყარო):

$G_ბ$=580x1460/10^6=0.847 ტ/წლ

ხოლო გაფრქვევის ჯამური ინტენსივობა ტოლი იქნება:

$M_ჯ$=0.847x10^6/(3600x365x24)=0.02685 გ/წმ.

ჯამური გაფრქვევა ყველა წყაროდან ბენზინისათვის ტოლი იქნება:

G=0.701+0.066x2+0.847=1.680 ტ/წელ,

ანუ

M=1.60+0.00209x2+0.02685=1.63103 გ/წმ.

გ. გაფრქვევები დიზელის საწვავის რეზერვუარებში მიღებისას (გაფრქვევის გ-3, გ-4 წყარო):

საწარმოო წელიწადში გეგმავს 1460 მ³ მოცულობის დიზელის საწვავის რეალიზაციას.

მარტივი გათვლებით მიიღება, რომ დიზელის საწვავის ორთქლის მაქსიმალური გაფრქვევა უდრის:

M=1.55x4.0/1200=0.00517 გ/წმ.

ხოლო წლიური გაფრქვევა დიზელის საწვავის ჩასხმისას მიწისქვეშა რეზერვუარში ტოლია:

$G_{წ}$=1.55x1460x10^{-6}=0.002 ტ/წლ.

<u>დ. გაფრქვევები დიზელის საწვავის ავტომანქანების გამართვის დროს (გაფრქვევის გ-6 წყარო):</u>

ხოლო დიზელის საწვავის ავტომანქანების ჩასხმისას ტოლი იქნება:

M=1.86x4.0/1200=0.0062 გ/წმ.

ხოლო წლიური გაფრქვევა ტოლი იქნება:

$G_{წ}$=1.86x1460x10^{-6}=0.003 ტ/წლ.

ხოლო ბუნებრივი აორთქლების დიზელის საწვავისათვის მიწისქვეშა რეზერვუარებიდან იმდენად მცირეა, რომ ის არ იანგარიშება.

ჯამური გაფრქვევა დიზელის საწვავის ორთქლისა ტოლი იქნება:

G=0.002+0.003=0.005 ტ/წელ,

ანუ

M=0.00517+0.0062=0.01137 გ/წმ.

<u>გაფრქვევები ბუნებრივი აირით ავტოგასამართი სადგურიდან.</u>

ბუნებრივი აირით ავტოგასამართი სადგურის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ძირითადად საწარმოო უბანზე ჰაერის ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებაა მეთანი, რომელიც წარმოადგენს ბუნებრივი აირის შემადგენლობის 90 %-ს. ასევე ბუნებრივ აირში გარეული ოდორანტის (ეთილმერკაპტანები) გაფრქვევის გაანგარიშება გამოითვლება იმის გათვალისწინებით, რომ ყოველ 1000 $მ^3$ ბუნებრივ აირში ხდება 16 გრამი ეთილმერკაპტანის გარევა.

ზემოთაღნიშნული მავნე ნივთიერებების ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის უმთავრესი წყაროა შენობა, სადაც განლაგებულია საკომპრესოროები, რესივერები და ავტოგასამართი სვეტები, საიდანაც ხდება ბუნებრივი დანაკარგი ბუნებრივი აირისა სხვადასხვა მოწყობილობა-დეტალებიდან.

ბუნებრივი გაზით ავტოგასამართი სადგურიდან მავნე ნივთიერებების გაფრქვევა ატმოსფეროში დამოკიდებულია იქ დამონტაჟებული ტექნოლოგიური

მოწყობილობების ჰერმეტულობასთან. მთავარია არ მოხდეს ავტომანქანის გამართვის დროს ბუნებრივი აირის ატმოსფეროში გაფრქვევა. ტექნოლოგიური რეგლამენტის მიხედვით ბუნებრივი დანაკარგი ავტომანქანების ბუნებრივი აირით გასამართი სადგურიდან საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით არ უნდა აღემატებოდეს 0.06 %-ს. აქვე შესაძლებელია მათი თანაბარი გადანაწილება როგორც საკომპრესორო სადგურიდან, ასევე გასამართი სვეტებიდან.

<u>გაფრქვევები საკომპრესოროდან (გაფრქვევის გ-7 წყარო).</u>

რადგან წლიური მოხმარება ბუნებრივი აირისა ტოლია 1460000 მ^3-ის და აქედან დანაკარგის ნახევარი პირობითად მოდის საკომპესორო სადგურზე, ამიტომ წლიური გაფრქვევა ბუნებრივი აირისა საკომპრესორო სადგურიდან ტოლი იქნება:

G=(1460000x0.06/100)/2=438 მ^3/წელ.

ანუ:

G=438 x 0.73/1000=0.320 ტ/წელ.

ხოლო გაფრქვევის ინტენსივობა ტოლი იქნება:

M=0.320 x10^6/(3600x24x365)= 0.010139 გ/წმ.

ბუნებრივი აირით გასამართი სადგურის საკომპრესორო სადგურებიდან ეთილმერკაპტანის გაფრქვევა, გამომდინარე 1000 მ^3 ბუნებრივ აირში 16 გრამის შემცველობიდან, ტოლი იქნება:

G=((1460000/1000)x16x0.06/100)/2=7.008 გ/წელ = 0.000007008 ტ/წელ.

M=7.008/(3600x24x365) = 0.00000022 გ/წმ.

<u>გაფრქვევები ბუნებრივი აირით გასამართი სვეტებიდან (გაფრქვევის გ-8 წყარო).</u>

რადგან წლიური მოხმარება ბუნებრივი აირისა ტოლია 1460000 მ^3-ის და აქედან დანაკარგის ნახევარი პირობითად მოდის ბუნებრივი აირით გასამართ სვეტებიდან, ამიტომ წლიური გაფრქვევა ბუნებრივი აირისა გასამართ სვეტებიდან ტოლი იქნება:

G=(1460000x0.06/100)/2=438 მ^3/წელ.

ანუ:

G=438 x 0.73/1000=0.320 ტ/წელ.

ხოლო გაფრქვევის ინტენსივობა ტოლი იქნება:

M=0.320 x10^6/(3600x24x365)= 0.010139 გ/წმ.

ბუნებრივი აირით გასამართი სადგურის გასამართი სვეტებიდან ეთილმერკაპტანის გაფრქვევა, გამომდინარე 1000 მ^3 ბუნებრივ აირში 16 გრამის შემცველობიდან, ტოლი იქნება:

G=((1460000/1000)x16x0.06/100)/2=7.008 გ/წელ = 0.000007008 ტ/წელ.

M=7.008/(3600x24x365) = 0.00000022 გ/წმ.

<u>გაფრქვევები თხევადი გაზის მიმღები რეზერვუარიდან, გ-9 გაფრქვევის წყარო</u>

საწარმოში გათვალისწინებულია წელიწადში 730 ტ თხევადი გაზის მიღებაზე. ტექნოლოგიური დანაკარგები ასეთი ტიპის დანადგარებისათვის დადგენილია და შეადგენს 0.84%. შესაბამისად ატმოსფეროში გაფრქვევა ტოლი იქნება:

G = 730 x 0.0084 = 6.132 ტ/წელ.

საწარმოს სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით გაფრქვევის სიმძლავრე შესაბამისად იქნება:

M= 6.240 x 10^6 / 365 / 24/ 3600 = 0.19444 გ/წმ.

თხევადი გაზის სტანდარტული შემადგენლობაა: მეთანი - 4%

პროპანი - 75%

ბუთანი -21%

მაშასადამე გაფრქვევის ინტენსივობები შესაბამისად ტოილ იქნება:

მეთანი;

M=0.19444x0.04=0.00778 გ/წმ.

G=6.240x0.04=0.250 ტ/წელ.

პროპანი;

M=0.19444x0.75=0.14583 გ/წმ.

G=6.240x0.75=4.680 ტ/წელ.

ბუთანი;

M=0.19444x0.21=0.04083 გ/წმ.

G=6.240x0.21=1.310 ტ/წელ.

ასევე თხევად გაზში გარეული ოდორანტის (ეთილმერკაპტანები) გაფრქვევა იანგარიშება, გამომდინარე მისი შემცველობიდან (1 ტ. თხევად გაზში 80 გრამი), ტოილ იქნება:

M=(0.19444x80)/10^6= 0.0000156 გ/წმ;

G=(6.240x80)/10^6=0.000499 ტ/წელ.

გაფრქვევები თხევადი გაზის გაცემისას, გ-10 გაფრქვევის წყარო

საწარმოში გათვალისწინებულია წელიწადში 730 ტ თხევადი გაზის ავტომობილებში გაცემა. ტექნოლოგიური დანაკარგები ასეთი ტიპის დანადგარებისათვის დადგენილია და შეადგენს 1.34%. შესაბამისად ატმოსფეროში გაფრქვევა ტოლი იქნება:

$G = 730 \times 0.0134 = 9.782$ ტ/წელ;

საწარმოს სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით გაფრქვევის სიმძლავრე შესაბამისად ტოლი იქნება:

$M = 9.782 \times 10^6 / 365 / 24 / 3600 = 0.31019$ გ/წმ.

თხევადი გაზის სტანდარტული შემადგენლობაა: მეთანი _ 4%

პროპანი _ 75%

ბუთანი _ 21%

მაშასადამე გაფრქვევის ინტენსივობები შესაბამისად ტოილ იქნება:

მეთანი;

M=0.31019x0.04=0.01241 გ/წმ.

G=9.782x0.04=0.391 ტ/წელ.

პროპანი;

M=0.31019x0.75=0.23264 გ/წმ.

G=9.782x0.75=7.337 ტ/წელ.

ბუთანი;

M=0.31019x0.21=0.065139 გ/წმ.

G=9.782x0.21=2.054 ტ/წელ.

ასევე თხევად გაზში გარეული ოდორანტის (ეთილმერკაპტანები) გაფრქვევა იანგარიშება, გამომდინარე მისი შემცველობიდან (1 ტ. თხევად გაზში 80 გრამი), ტოილ იქნება:

$M=(0.31019 \times 80)/10^6 = 0.0000248$ გ/წმ;

$G=(9.782 \times 80)/10^6 = 0.000783$ ტ/წელ.

5. მიღებული შედეგების ანალიზი

ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული შედეგები წარმოდგენილია საინვენტარიზაციო ფორმებში (დანართი 1).

1. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში შედგენილია მოქმედ გარემოსდაცვითი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისობით.

2. საწარმოში ჩატარებული ინვენტარიზაციის თანახმად, სულ გამოვლენილ იქნა მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის 10 წყარო, ოთხი ორგანიზებული და რვა არაორგანიზებული წყარო.

3. საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფეროში წლიურად გაიფრქვევა მავნე ნივთიერებათა შემდეგი რაოდენობა:

მეთანი:	M=0.040468 გ/წმ;	G=1.281 ტ/წელ.
ბუთანი:	M=0.105969 გ/წმ;	G=3.364 ტ/წელ.
პროპანი:	M=0.37847 გ/წმ;	G=12.017 ტ/წელ.
ეთილმერკაპტანი:	M=0.00004084 გ/წმ.	G=0.001296016 ტ/წელ;
ბენზინის ორთქლი:	M=1.63103 გ/წმ.	G=1.680 ტ/წელ;
დიზელის ორთქლი:	M=0.01137 გ/წმ.	G=0.005 ტ/წელ;

4. "ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" და "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ამ საწარმოსთვის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის შემუშავება და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღება არაა სავალდებულო.

6. საწარმოს გენ-გეგმა გაფრქვევის წყაროთა ჩვენებით



7. გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი “ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ”, 1999.

2. . საქართველოს კანონი "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ". თბილისი, 2008

3. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის დადგენილება #42 ~ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტი”;

4. საქართველოს მთავრობის დადგენილება “დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე”. #435 2013 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი.

5. საცავთაგან ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გაფრქვევათა განსაზღვრის მეთოდური მითითებანი, 0212.1-97, მინსკი, 1997

6. სახელმწიფო კომიტეტის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის საწარმოებში მავნე ნივთიერებათა ატმოსფეროში გაფრქვევათა ნორმირება, მოსკოვი, 1984.

7. სამშენებლო ნორმები და წესები, ნაწ.II, პროექტირების ნორმები, ნავთობის და ნავთობპროდუქტთა საწყობები, მოსკოვი, 1980

8. EMEP/CORINAIR ევროპაში ატმოსფერულ გაფრქვევათა ინვენტარიზაცია, ატმოსფერულ გაფრქვევათა ინვენტარიზაციის სახელმძღვანელო, 1997.

8. დ ა ნ ა რ თ ე ბ ი

- ცხრილები:

ფორმა #1. მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება

ფორმა #2. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დახასიათება

ფორმა #3. აირმტვერდამჭერი მოწყობილობების მუშაობის მაჩვენებლები

ფორმა #4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა, მათი გაწმენდა და უტილიზირება, ტ/წელი.

ფორმა №1. მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება

წარმოების, საამქროს, უბნის დასახელება	მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს			მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს					მავნე ნივთიერებათა		გამოყოფის წყაროდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა, ტ/წელ.
	ნომერი	დასახელება	რაოდე-ნობა	ნომერი	დასახელება	რაოდე ნობა	მუშაობის დრო დღე-ღამეში	მუშაობის დრო წელიწადში	დასახელება	კოდი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
თხევადი საწვავით გასამართი სადგური	გ-1	სასუნთქი მილი	1	#1	ბენზინის საცავი	1	24	8760	ბენზინის ორთქლი	311	0.767
	გ-2	სასუნთქი მილი	1	#2	ბენზინის საცავი	1	24	8760	ბენზინის ორთქლი	311	0.066
	გ-3	სასუნთქი მილი	1	#3	დიზელის საცავი	1	24	8760	დიზელის საწ. ორთქლი	314	0.001
	გ-4	სასუნთქი მილი	1	#4	დიზელის საცავი	1	24	8760	დიზელის საწ. ორთქლი	314	0.001
	გ-5	არაორგანიზებული	1	#500	ავტომობილის ავზი	1	24	8760	ბენზინის ორთქლი	311	0.847
	გ-6	არაორგანიზებული	1	#501	ავტომობილის ავზი	1	24	8760	დიზელის საწ. ორთქლი	314	0.003
ბუნებრივი აირით გასამართი სადგური	გ-7	არაორგანიზებული.	1	№502	საკლომპრესორო	1	24	8760	მეთანი	336	0.320
									ეთილმერკაპტანი	57	0.000007008
	გ-8	არაორგანიზებული.	1	№503	გასამართი სვეტები	1	24	8760	მეთანი	336	0.320
									ეთილმერკაპტანი	57	0.000007008

ფორმა №1. მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება (გაგრძელება)

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
გათხევადე-ბული აირის გასაცემი სადგური	გ-9	არაორგანიზებული	1	#504	რეზერვუარი	1	24	8760	მეთანი	336	0.250
									ბუთანი	89	1.310
									პროპანი	489	4.680
									ეთილმერ-კაპტანი	057	0.000499
	გ-10	არაორგანიზებული	1	#505	გასაცემი სვეტი	1	24	8760	მეთანი	336	0.391
									ბუთანი	89	2.054
									პროპანი	489	7.337
									ეთილმერ-კაპტანი	057	0.000783

ფორმა №2. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დახასიათება

მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს ნომერი	მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს პარამეტრები		აირჰაერნარევის პარამეტრები მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს გამოსავალთან			მავნე ნივთიერებ-ის კოდი	ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა		ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს კოორდინატები ობიექტის კოორდინატთა სისტემაში, მ					
									წერტილოვანი წყაროსთვის		ხაზოვანი წყაროსათვის			
											ერთი ბოლოსათვის		მეორე ბოლოსათვის	
	სიმაღლე	დიამეტრი ან კვეთის ზომა, ფართითი წყაროსათვის მისი სიგანე	სიჩქარე, მ/წმ	მოცულო-ბითი ხარჯი, მ³/წმ	ტემპერა-ტურა,°C		მაქსიმალ-ური, გ/წმ	ჯამური, ტ/წელ.	X	Y	X_1	Y_1	X_2	Y_2
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
გ-1	3.0	0.05	1.70	0.00444	30	311	1.60209	0.767	0	0				
გ-2	3.0	0.05	1.70	0.00444	30	311	0.00209	0.066	4	0				
გ-3	3.0	0.05	1.70	0.00444	30	314	0.00517	0.001	8	0				
გ-4	3.0	0.05	1.70	0.00444	30	314	-	0.001	12	0				
გ-5	1.0	0.1	0.42	0.00333	30	311	0.02685	0.847	2	-32				
გ-6	1.0	0.1	0.42	0.00333	30	314	0.0062	0.003	8	-32				
გ-7	3.0	0.5	1.5	0.2987	30	336	0.010139	0.320	10	-18				
						057	0.00000022	0.000007008						
გ-8	1.5	0.5	1.5	0.2987	30	336	0.010139	0.320	4	-27				
						057	0.00000022	0.000007008						
გ-9	2.5	0.5	1.5	0.29452	28	336	0.00778	0.250	13	-4				
						89	0.04083	1.310						
						489	0.14583	4.680						
						057	0.0000156	0.000499						
გ-10	2.5	0.5	1.5	0.29452	28	336	0.01241	0.391	14	-14				
						89	0.065139	2.054						
						489	0.23264	7.337						
						057	0.0000248	0.000783						

ფორმა №3. აირმტვერდამჭერი მოწყობილობების მუშაობის მაჩვენებლები

მავნე ნივთიერებათა			აირმტვერდამჭერი მოწყობილობის		მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია, გ/მ^3		აირმტვერდამჭერი მოწყობილობის გაწმენდის კოეფიციენტი	
გამოყოფის წყაროს ნომერი	გაფრქვევის წყაროს ნომერი	კოდი	დასახელება და ტიპი	რაოდენობა ცალი	გაწმენდამდე	გაწმენდის შემდეგ	საპროექტო	ფაქტიური
1	2	3	4	5	6	7	8	9

ფორმა #4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა, მათი გაწმენდა და უტილიზირება, ტ/წელი

მავნე ნივტიერებათა		გამოყოფის წყაროებიდან წარმოქმნილი მავნე ნივთიერებათა რაოდენობა, (სვ.4+სვ.6)	მათ შორის			გასაწმენდად შემოსულიდან დაჭერილია		სულ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა (სვ.3-სვ.7)	მავნე ნივთიერებათა დაჭერის პროცენტი გამოყოფილთან შედარებით, (სვ.7/სვ.3)•100
			გაფრქვეულია გაწმენდის გარეშე		სულ მოხვდა გამწმენდ მოწყობილობაში	სულ	მათ შორის უტულიზირებულია		
კოდი	დასახელება		სულ	ორგანიზებული გამოყოფის წყაროებიდან					
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
336	მეთანი	1.281	1.281	-	-	-	-	1.281	-
89	ბუთანი	3.364	3.364	-	-	-	-	3.364	-
489	პროპანი	12.017	12.017	-	-	-	-	12.017	-
057	ეთილმერკაპტანი	0.001296016	0.001296016	-	-	-	-	0.001296016	-
311	ბენზინის ორთქლი	1.680	1.680	0.833	-	-	-	1.680	-
314	დიზელის საწვავის ორთქლი	0.005	0.005	0.002	-	-	-	0.005	-

N 01.11.12.020.007

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882013182274 - 23/04/2013 15:54:09

მომზადების თარიღი
24/04/2013 12:57:56

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	გლდანი		
01	**11**	**12**	**020/007**

მისამართი: ქალაქი თბილისი , გურამიშვილის ქუჩიდან გლდანში მიმავალ მაგისტრალზე

ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დამუშავებული ფართობი:1876.00 კვ.მ.
ნაკვეთის წილი ნაწილი: 20/2 და 20/5;
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1, N2, N3, N4.

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882011560123 , თარიღი 17/11/2011 15:09:14
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 17/11/2011

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:
- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:17/11/2011 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს "გამა" , ID ნომერი:208208198

მესაკუთრე: აღწერა:
შპს "გამა"

იპოთეკა

საგამაფრთხილებო ჩანაწერი:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოთხოვნათა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-622

08/07/2019

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, შპს „გამას" ნავთობპროდუქტების (ბენზინის და დიზელის საწვავის) და თხევადი აირის საცავების მოწყობაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „გამას" მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ქ. თბილისში არსებული ბუნებრივი აირის ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების (ბენზინის და დიზელის საწვავის) და თხევადი აირის საცავების მოწყობაზე სკრინინგის განცხადება.

ავტოგასამართი სადგური მდებარეობს ქ. თბილისში, გურამიშვილის ქუჩიდან გლდანის რაიონში მიმავალი მაგისტრალის მიმდებარედ 1876 მ² ფართობის მჭონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (GPS კოორდინატები X=483540; Y=4626140 / საკადასტრო კოდი: 01.11.12.020.007). აღნიშნული ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 60 მეტრით.

პროექტის მიხედვით ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე დაგეგმილია დიზელის, ბენზინის და თხევადი გაზის საწვავის გასამართი სვეტებისა და რეზერვუარების მოწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურით. ავტოგასამართი სადგური წლიურად ახდენს 2160000 მ³ ბუნებრივი აირის საწვავის რეალიზაციას. ბენზინის, დიზელის და თხევადი აირის რეზერვუარების მოწყობის შემდეგ წელიწადში მოხდება 1460000 მ³ ბუნებრივი აირის, 1460 მ³ დიზელის, 1460 მ³ ბენზინის და 730 ტ თხევადი გაზის რეალიზაცია.

პროექტის მიხედვით ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე მოეწყობა:

- ოთხი მიწისქვეშა რეზერვუარი, თითოეულის მოცულობა შეადგენს 20 მ³-ს. რეზერვუარები განკუთვნილი იქნება ბენზინის და დიზელის საწვავის შესანახად;
- ბენზინის და დიზელის მარიგებელი სვეტები;
- 15 მ³ მოცულობის თხევადი გაზის მიწისზედა რეზერვუარი, რომელიც აღჭურვილი იქნება საწვავის მარიგებელი სვეტით.

არსებული ავტოგასამართი სადგურის ტერიტორია მობეტონებულია. ბენზინის და დიზელის მიწისქვეშა ავზები განთავსდება ბეტონის სარკოფაგში, რეზერვუარებს შორის არსებული ცარიელი ადგილები შეივსება ქვიშა-ღორღის ნარევი ფრაქციით. მიწისქვეშა

რეზერვუარები აღჭურვილი იქნება 3 მ სიმაღლის, 0,05 დიამეტრიანი სასუნთქი სარქველებით. რეზერვუარები დაფარული იქნება ანტიკოროზიული საღებავით.

ავტოგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების მიღება მოხდება ავტოცისტერნების საშუალებით. მიღებული საწვავი განთავსდება მიწისქვეშა რეზერვუარებში, საიდანაც მიეწოდება ჩამოსასხმელ სვეტებს. თხევადი გაზი შემოტანილი იქნება სპეციალური ავტოცისტერნების საშუალებით და განთავსდება 15 მ³ მოცულობის მიწისზედა რეზერვუარში.

პროექტის მიხედვით ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია მეხამრიდის დამონტაჟება, რომელიც დაფარავს საოპერატორო შენობას და ფარდულს. სახანძრო უსაფრთხოების მიზნით განთავსდება ცეცხლმაქრებით აღჭურვილი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.

ობიექტზე წყლის გამოყენება ხდება საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის და სახანძრო უსაფრთხოებისთვის. ტერიტორიაზე არსებობს წყალძომარაგების სისტემა და გამოყენებული იქნება არსებული ქსელი. ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხდება ქ. თბილისის საკანალიზაციო სისტემაში.

სკრინინგის განცხადების მიხედვით საწვავის მარიგებელი სვეტები განთავსებული იქნება ზემოდან დახურული ფარდულის ტიპის შენობაში, რაც შეამცირებს ნავთობპროდუქტებით სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკს.

სამშენებლო სამუშაოების ჩატარების პერიოდში მიწის ნაყოფიერი ფენის არსებობის შემთხვევაში მოხდება მისი მოხსნა და დასაწყობება კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დაცვით.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, მეთანი, პროპანი და სხვა მავნე ნივთიერებები, რომლის მაქსიმალური ინტენსივობა ფიქსირდება საწვავის მიღებისას და გაცემის დროს.

ავტოგასამართი სადგურის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით სამშენებლო სამუშაოების ჩატარების ეტაპზე მოსალოდნელია მცირე რაოდენობით სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა, ხოლო ექსპლუატაციისას წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები. ნარჩენების მართვა მოხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

საწვავის გასაცემი სვეტების გარე პერიმეტრი მოწყობილია არხებით, რომელიც უერთდება მიწისქვეშა ავზს. ავტომანქანების გამართვის და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს დაღვრილი ნავთობპროდუქტები შეიკრიბება აღნიშნული არხების საშუალებით და შეგროვდება მიწისქვეშა ავზში, საიდანაც მოხდება დაღვრილი ნავთობპროდუქტების გარკვეული ნაწილის ამოღება, ხოლო დარჩენილი დაბინძურებული შლამი განთავსდება სპეციალურ კონტეინერში და გადაეცემა აღნიშნული სახის ნარჩენების მართვაზე შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას.

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში არ ფიქსირდება მრავალწლოვანი მცენარეები და არც წითელ წუსხაში შეტანილი სახეობები.

საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილი არ არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. ავტოგასამართი სადგურიდან სხვა მსგავსი ტიპის ობიექტის დაშორების გათვალისწინებით კუმულაციური ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე არსებული ბუნებრივი აირის ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების (ბენზინის და დიზელის საწვავის) და თხევადი აირის საცავების მოწყობა გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „გამას“ ნავთობპროდუქტების (ბენზინის და დიზელის საწვავის) და თხევადი აირის საცავების მოწყობა **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „გამა“ ვალდებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „გამას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გამას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გლდანის რაიონის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი